ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №043

ქ. თბილისი 5 ივნისი 2017 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ: სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (შემდგომში-შემსყიდველი), მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ნათია ზაალიშვილის სახით,

მეორე მხრივ: შპს ორბიტა მოტორსი (შემდგომში-მიმწოდებელი), მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის ქ №55, წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ შუღლაძის სახით,

ადასტურებენ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის გზით (მონეტარული ზღვრის დაცვით), სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ამ ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელი შემსყიდველის წინაშე იღებს ვალდებულებას გაუწიოს სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურება (ინვოისების შესაბამისად) - კლასიფიკატორის (CPV) კოდით – 60170000 - სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2.2 მომსახურების გაწევა ხორციელდება 2017 წლის 7 ივნისიდან 2017 წლის 20 ივლისის ჩათვლით.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 3460 (სამი ათას ოთხას სამოცი) ლარს.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი:

4.1.1 ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს შეთანხმებული ხარისხის მომსახურება.

4.1.2 ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

4.1.3 ვალდებულია განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

4.1.4 ვალდებულია განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი:

4.2.1 ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში აანაზღაუროს მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

4.2.2 ვალდებულია განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. სტანდარტები

მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და უნდა იყოს მხარეთა შორის შეთანხმებული ხარისხის.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მიწოდებული მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი.

6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებისთანავე გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.3 ამ მუხლით გათვალისწინებული მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

6.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს ადმინისტრაციული განყოფილების შესყიდვების სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი ზვიადი ჭელიძე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ადმინისტრაციული განყოფილება.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების მოცულობის და წუნდების მიზეზების შესახებ.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა ლარი;

8.1.2 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტი.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 პუნქტის შესაბამისად.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეები იტოვებენ უფლებას, რომ შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოითხოვონ შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 7 ივნისიდან და მოქმედებს 2017 წლის 23 აგვისტომდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკულების დამდებ რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების

შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი

შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში. იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე. თითოეულ მხარეს აქვს ამ ხელშეკრულების თითო ეგზემპლიარი.

17. მხარეთა რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი:</u>

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.
საიდენტიფიკაციო კოდი 205296188
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ №GE24NB0330100200165022

ნათია ზაალიშვილი

დირექტორი

<u>მიმწოდებელი:</u>
შპს ორბიტა მოტორსი
მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის ქ. №55.
საიდენტიფიკაციო კოდი: 202462879
საბანკო რეკვიზიტები: სს “თი ბი სი ბანკი”
ბანკის კოდი: 220101819, ანგარიშის №GE16TB3437536020100004
ტელ: 579 49 79 79

თეიმურაზ შუღლაძე

დირექტორი